რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 13 დეკემბერი 1917 წ.

# ბრძოლა

გაზეთი გამოდის ყოველ დღე. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгіевская ул. № 1, для груз. газ. „Брдзола". კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები რედაქციის სახელზე შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Гановская ул. № 3. Редакція груз. газ. „Брдзола". გაზეთი ღირს წლის ბოლომდე 4 მ., 1 თვით 2 მ. განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კ.

ფასი 10 კ.

№ 54 რუსეთის ს.-დ. მუშ. პარ. (ბოლშევიკების) კავკ. საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანო. 54

# შეწყდა ხოცვა-ჟლეტა

## დამყარდა დროებითი ზავი

## ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე და კავკასიის ფრონტზე

**გაუმარჯოს საერთო ზავს, გაუმარჯოს რუსეთის რევოლუციას!**

---

**პირველი ნოემბრიდან გაზეთი**

**ბრძოლა**

**გამოდის ყოველდღიურათ.**

| | | |
|---|---|---|
| გაზეთის ფასი: წლის დამლევამდე ღირს | | 2 მ. |
| ერთი თვით | „ | 2 მ. |
| ცალკე ნომერი | „ — | 10 კ. |
| მევაჭრეებს მიეცემათ ცალი | | 07 კ. |

გაზეთის გამოწერა შეიძლება: 1) „ბრძოლის" და „კავკ. რაბოჩის" კანტორაში, თფილისი, გიორგის ქუჩა № 1.

2) ჩვენი პარტიის თფილისის ოთხივე რაიონის ბიუროში.

3) ჩვენი პარტიის პროვინციის ყველა ორგანიზაციებში.

თფილისის ამხ. მუშებს და გაზეთის გამავრცელებლებს ვთხოვთ გაზეთი მოიკითხონ და გასავრცელებლათ წაიღონ სტამბიდან ყოველ საღამოობით, გარდა კვირა უქმე დღეებისა. სტამბა—ამხანაგობა „ქართლი" ძველი სემინარიის ეზოში. შესავალი ლორის მელიქოვის ქუჩიდან. რედაქციის ადრესი: თფილისი, განოვის ქ. № 3.

**ამხანაგებო!** ხელი შეუწყვეთ ყოველმხრივ „ბრძოლას": მუშათა ორგანო მხოლოთ მუშებისავე ძალღონით და საშუალებით შეიძლება არსებობდეს.

---

## მოღალატეები.

მუშების და გლეხების მთავრობის წინაღმდეგ დაირაზმა მთელი კონტრ-რევოლუციონური ბანაკი. დაირაზმა კლასი კლასის წინააღმდეგ: პროლეტარიატი ბოლშევიკების ხელმძღვანელობით, ბურჟუაზია—კადეტების მეთაურობით.

პროლეტარიატს მხარს უჭერს და ბრძოლაში მიყვება ულარიბესი გლეხობა და სოფელ-ქალაქის ღარიბ-ღატაკნი. ბურჟუაზიას მხარს უჭერს გენერლობა და აფიცრობა, უმაღლესი ჩინოვნიკობა და იუნკრები, ყველა მუქთა ხორა და ხალხის ორგული.

ბურჟუაზიამ თავისკენ მიიმხრო ინტელიგენცია, რომელიც აქამდე ხალხს ერთგულობას ეფიცებოდა. ინტელიგენციამ უღალატა ხალხს და ახლა მთელი ძალღონით სცდილობს დასცეს ხალხის ძალა-უფლება და კვლავ ბურჟუაზიის ბატონობა განამტკიცოს.

ექიმები და ვექილები, მასწავლებლები და პროფესორები, ინჟენრები და ტეხნიკოსები, სხვა და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებში მოსამსახურეები ჟურნალისტები და მეგაზეთეების მთელი როვა აშკარათ დადგენ ბურჟუაზიის მხარეს და პროლეტარიატს ბრძოლა გამოუცხადეს. იუნკრები, კაზაკები და ყველა თეთრ გვარდიელები თოფ-იარაღით იბრძვიან, შეუბრალებლათ ხოცვენ და ჟლეტენ ქვეყნის მკვებავ მშრომელ ხალხს. ინტელიგენტები გაფიცვას უწყობენ იმავე მშრომელ ხალხს, უპატრონოთ სტოვებენ ავათმყოფებს, ქუჩაში ყრიან მოსწავლე ახალ გაზრდობას, აჩერებენ და აფუჭებენ წყალ სადენებს, არ ასრულებენ მთელ რიგ ფუნქციებს, რომლებზედაც დამოკიდებულია პურის და სურსათის განაწილების საქმე, ერთი სიტყვით სრულ არევდარევას ახდენენ ეკონომიურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომ ამით წელში გასტეხონ მტარვალების წინააღმდეგ ამდგარი მშრომელი ხალხი და ის კვლავ ბურჟუაზიას დაუმორჩილონ.

ყველა ეს ინტელიგენტები ასე თუ ისე იბრძოდენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. მაგრამ ამ ბრძოლაში მათ არასოდეს არ მიუმართავთ ისეთ ზომებისთვის, როგორსაც მიმართავენ დღეს ხალხის მთავრობის წინააღმდეგ. მათ უნდოდათ თვითმპყრობელობის ჩამოგდება, და ხალხმა მართლა დაამხო მისი ბატონობა. მაგრამ როცა გამარჯვებულმა ხალხმა თვით აიღო ხელთ მთელი ძალა-უფლება, შექმნა მუშების და გლეხების მთავრობა, რომელიც მედგრათ იცავს მშრომელი ხალხის ინტერესებს და შეუბრალებლათ ებრძვის მუქთა ხორა მდიდრების ბატონობას, ამ დროს ინტელიგენტებმა პირი იბრუნეს ხალხიდან და მტრის ბანაკში გადაბარგდენ.

მტრის ბანაკში არიან დღეს ხალხის გუშინდელი მეგობრები, რომლებმაც თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში ციხე-კატორღა და ათასგვარი დევნა-შევიწროება გადაიტანეს. ისინი ამაყათ მოუთითებენ თავის წარსულზე და მით ცდილობენ თავისი ახლანდელი აშკარა ღალატი დამალონ. მაგრამ დღეს დაწყებულია უფრო დიადი ბრძოლა და ვინც ამ დროს ხალხთან არ არის, ვინც მის მტრებს ეხმარება, აშკარაა, ის არც წინათ ყოფილა ნამდვილი ხალხის მოკეთე, მას მთელი თავისი მოღვაწეობა ბურჟუაზიის გაბატონებისთვის შეუწირავს.

ეს მოღალატეები წინააღმდეგი არიან ხალხის სრული განთავისუფლებისა. მათ უნდათ ხალხმა ოდნავ გაიუმჯობესოს თავისი მდგომარეობა და ბურჟუაზიის ბატონობა კი შეურყეველი დარჩეს. მათ შეიძლება ისიც კი სწადიათ, რომ ბურჟუაზიის გაბატონების შემდეგ კვლავ მოევლინონ ხალხს მხსნელათ და მფარველათ, გაანათლონ უვიცი ხალხი, დაეხმარონ მას ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში და ამით კვლავ შეიმოსონ მოწამებრივი გვირგვინით. მაგრამ დღეს, როდესაც ხალხი ცდილობს სამუდამოთ და მსხვრიოს მონობის ბორკილი, სავსებით განთავისუფლდეს, სავსებით დაეპატრონოს თავის შრომის ნაყოფს, განათლება ყველასათვის ხელმისაწვდენი გახადოს და მით სრულიათ ზედ-მეტი ჰყოს რჩეულ ინტელიგენტის მოღვაწეობა „ბეჩავი ხალხის" სასარგებლოთ, ინტელიგენტი ვერ ურიგდება თავისი გამორჩეული როლის დაკარგვას და ის ხალხის წინააღმდეგ ირაზმება. თუ ხალხი ბეჩავია, დაჩაგრულია, დამონებულია, ინტელიგენტი მის მხარეს არის, რადგან მას მაშინ მეტათ სიმპატიური და სასახელო საქმე აქვს: ის, თვითონ უზრუნველ-ყოფილი „შველის" ხალხს, კეთილ საქმეს აკეთებს, თავისუფლებას ემსახურება. მაგრამ თუ ხალხი იმარჯვებს და ყოველ [illegible] ბატონობას სპობს ისე ძირიან [illegible], რომ შემდეგში მას აღარ ეჭირვება ეს კეთილის მყოფლები, მათი მოღვაწეობა, მათი ქველმოქმედება, ინტელიგენტი ყალყზე დგება და ხალხს ომს უცხადებს. იყავი მონათ და მონობაში მე დაგეხმარები, ეუბნება ხალხს გულკეთილი ინტელიგენტი. არ გაბედო მონობის მოსპობა, თვარა რითაც შემიძლია გავნებ—ეუბნება იგივე კეთილის მყოფელი.

აშკარაა, ბურჟუაზიულმა ინტელიგენციამ თავისი მშობელი ბუდე მოძებნა და იქიდან თავს ესხმის მშრომელ ხალხს. ის სავსებით დაუკავშირდა ბურჟუაზიას და თავისი წვლილი შეაქვს მისი ბატონობის განმტკიცებაში.

რვა თვის განმავლობაში ამ ინტელიგენციამ მოატყუა და მოაღორა ხალხი, აცდევინა მას გულ ხელ დაკრეფილი, გააჭიანურა ხალხის გამანადგურებელი ომი, ბეწვი არ შეუხარა ბურჟუაზიას, ფართო ასპარეზი მისცა ჩარჩ-სპეკულიანტებს და ქვეყანა უფსკრულის კარამდე მიიყვანა. ხალხი გამოვიდა მოთმინებიდან და მედგრათ დასძახა: ძირს ქვეყნის მტერი ბურჟუაზია, გაუმარჯოს მშრომელი ხალხის ძალა-უფლებასო. ხალხმა დაამხო ბურჟუაზიული მთავრობა და თვით აიღო ხელთ მთელი ძალა-უფლება, ის ბოლოს უღებს ომს, ამყარებს ზავს, აწესრიგებს არეულ-დარეულ ცხოვრებას, სპობს მემამულეთა კლასს და მიწას აძლევს მშრომელ გლეხობას, ლაგამს სდებს ბურჟუაზიას და აწესებს წარმოებაზე მუშების კონტროლს; ერთი სიტყვით, ის მედგრათ მიდის იმ გზით, რომ მშრომელმა ხალხმა საბოლოოთ გაიმარჯოს მუქთა-ხორა ბურჟუაზიაზე.

რას შვრება ამ დროს ის ინტელიგენცია, რომელმაც რვა თვეს უკვე გაგვაცნო, რა სიკეთე სდომია მას ხალხისთვის? ის კვლავ იძახის; გაუმარჯოს ბურჟუაზიასთან კავშირს, გაუმარჯოს მასთან თანამშრომლობასო.

უკანასკნელი განგაში დამფუძნებელი კრების გარეკის შესახებ სწორედ ამ აზრით და მიზნით არის გამოწვეული. ბურჟუაზია, მოსისხლე მტერი დამფუძნებელი კრებისა, ახლა სწორედ ამ კრებას ებღაუჭება. მან დაკარგა ძალა-უფლება და ახლა ის ოცნებობს, დამფუძნებელი კრების საშუალებით კვლავ დაიბრუნოს იგი. ამისთვის ბურჟუაზია არ ერიდება არავითარ სიყალბეს. მან იცის, რაოდენათ ძლიერია დამფუძნებელი კრების პრესტიჟი ხალხში და ცდილობს იგი თავის სასარგებლოთ გამოიყენოს. რაქდენიმე [illegible] ადგენილი ბ

რჟუაზიისა და მისი მომხრე ინტელიგენტები იკრიბებიან და თავის თავს დამფუძნებელ კრებათ აცხადებენ. „მთელი ძალა უფლება დამფუძნებელ კრებას, ძირს სახალხო კომისარების საბჭო, ძირს მუშების და გლეხების მთავრობა, ძირს ამ მთავრობის მიერ მოწყობილი საზავო მოლაპარაკება, ძირს მისი გამოცემული დეკრეტები მშრომელი ხალხის სასარგებლოთ“.—აი რას გაჰკივიან ეს ვაჟბატონები ამ უსირცხვილოთ გაყალბებულ დამფუძნებელ კრებაში. და როცა მათთან მიდიან და ეუბნებიან—თქვენ არა ხართ დამფუძნებელი კრება მუშების და გლეხების მთავრობა ნებას არ მოგცემთ, თქვენ 40 კაცს, 800 დეპუტატის უფლება მიითვისოთ, მიბრძანდით და უცადეთ, სანამ კრების ნახევარი—400 კაცი მაინც შეიკრიბებოდეს—ისინი ისტერიულათ გაჰკივიან: ხალხო და ჯამაათნო, აი გაგვრეკეს ჩვენ, გაგვრეკეს დამფუძნებელი კრებაო.

ბურჟუაზია ქუდზე კაცს უხმობს და დამფუძნებელი კრების დაცვის სახელით მედგრათ ილაშქრებს ხალხის მთავრობის წინააღმდეგ. ბურჟუაზიას აქაც გვერდს უმშვენებს ხალხის მოღალატე ინტელიგენცია. ისინი ერთნაირ ტყუილს ერთნაირი უსირცხვილობით იმეორებენ, ქვეყანას ყურებს უჭედენ—ბალშევიკები ხალხის მტრებია, მათ დამფუძნებელი კრება გარეკესო, თუმცა კარგათ იციან, რომ დამფუძნებელი კრება ჯერ არც არჩეულა, და მაშასადამე არც შეკრებილა და შეუკრებელი კრების გარეკა კი შეუძლებელ ა. კავკასიაში ჯერაც არ მოთავებულა არჩევნები, კავკასიის ჯერ არ არჩეული დეპუტატები კი გულში მუშტის ცემით გაიძახიან—ბალშევიკებმა გაგვრეკესო.

ისინი ჯერ არავის გაურეკია, მარა მათ ელანდებათ გარეკა, ელანდებათ, რადგან ახლავე გრძნობენ, რასაც იზამენ ისინი დამფუძნებელ კრებაში. ისინი იქ კვლავ შეუკავშირდებიან კადეტებს და მათთან ერთათ კვლავ შეეცდებიან გაყიდონ ხალხი ნაჭრობით და პარტიობით და სრულიათ ბუნებრივათ მიაჩნიათ, რომ ხალხის მთავრობა მათ გარეკავს—მიუხედავათ იმისა, რომ ისინი დამფუძნებელ კრებას ეფარებიან.

მენშევიკ-ესერების ინტელიგენცია აშკარათ გადავიდა ბურჟუაზიის მხარეს, მან გაყიდა ხალხის ინტერესები, მან უღალატა ხალხს. პროლეტარიატს ცოტა ყავს საკუთარი, მუშურ გლეხური ინტელიგენტური ძალები, მაგრამ ის მაინც არ შედრკება ბრძოლაში და ბურჟუაზიასთან ერთათ მის დამქაშ ინტელიგენტების ბატონობასაც დაამხობს.

## რას ხმაურობენ?

მენშევიკები ახმაურდენ, აგანგაშდენ, აფუსფუსდენ, აყაყანდენ, დაჰკრეს დაფი და ნაღარა, ქუდზე კაცს დაუძახეს ბალშევიკების წინააღმდეგ გასალაშქრებლათ. პრესა, კრებები, აფიშები, მიტინგები—აი მათი იარაღი ანტი-ბალშევიკური მობილიზაციის. მემარჯვენე ესერები (იგივე კადეტები), ყოველი ჯურის შოვინისტები (დაშნაკ—ფედერალისტ—მუსულმანები) და კადეტები—აი „ერთფეროვანი“ ბლოკი, რომელსაც სათავეში ჩაუდგენ მენშევიკები თავის „ჯოჯოხეთურ“ პლანის (ბალშევიკების განადგურება) სისრულეში მოსაყვანათ. მენშევიკებმა ზედმიწევნით შეითვისეს დიდებულ ბებელის ტაქტიკური პრინციპი: „მტრის ჩასაქოლავათ თვით ეშმაკსა და მის ბებიასთანაც კი შევკრავ კავშირსო.“ და ვინაიდან ბალშევიკები უდიდეს მტრათ მიაჩნიათ მენშევიკებს (რადგანაც ბალშევიკები შეურიგებელი მტერია ბურჟუაზიის), ცხადია მათ წინააღმდეგ ბრძოლაში ყოველ საშვალებას უნდა მიმართონ.

ეს ყველაფერი ბუნებრივი და კანონიერია. ომის დროს (როგორც ფრანგები იტყვიან) ისე უნდა მოვიქცეთ, როგორც მეომარს შეჰფერის.

მარა ერთი ვიკითხოთ: რამ შეაშფოთა, რამ აუტეხა საღერღელი, რამ ააფორიაქა, რამ დააყენა ყალყზე მენშევიკური ბანაკი?

ბალშევიკურმა მთავრობამ (სახალხო კომისარების საბჭომ) დამფუძნებელი კრება გარეკაო.

მართალია ეს თუ არა? დასტურ მოხდა ასეთი ფაქტი თუ არა? სერიოზულათ გაჰკივიან ამაზე მენშევიკები თუ თვალთ მაქცობენ? დონკიხოტივით ქარის წისქვილებს ებრძვიან, თუ ღრმათ დარწმუნებული არიან ამ ამბავს სინამდვილეში?

როცა მენშევიკებს პრესაში და მათ მიერ მოწყობილ საპროტესტო მიტინგებზე (სადაც კიდევ უფრო გამოაშკარავდა მათი პოლიტიკური სიკოტრე) შევეკითხეთ: საიდან გაიგეთ, რომ ბალშევიკებმა დამფუძნებელი კრება გარეკესო,—პირდაპირი პასუხი ვერ მოგვცეს, არც შეეძლოთ მოეცათ, მხოლოთ შორიდან, არა პირდაპირ, მიკიბულ-მოკიბულათ გვიპასუხეს, „ლობე-ყორეს მოედვენ“: თუ დამფუძნებელი კრება, როგორც ასეთი, არ გაგირეკიათ, თათბირი თავრიდის სასახლეში, რომელიც შესდგებოდა რამდენიმე ათეული დეპუტატისაგან, ხომ გარეკეთო. 2) ჩვენ ვიცით, რომ თქვენ, ბალშევიკები მტერი ხართ დამფუძნებელი კრების, თქვენ არ შეგიძლიათ მისი წინა ღმდეგი არ იყოთ, ვინაიდან თქვენ ცნობთ ერთად ერთ ს ხალხო ორგანოთ— მუშ. სალდ. და გლ. საბჭოებსო. განვიხილოთ ეს ქონდრის საბუთები.

სახალხო კომისარების საბჭომ მართლაც არ მისცა ნება თავრიდის სასახლეში სათათბიროთ ერთ მუჭა (40 კაცამდე) კონტრ რევოლიუციონურ დეპუტატებს—კადეტებს და მემარჯვენე ესერებს. ლენინის მთავრობის ეს ნაბიჯი ზედმიწევნით სამართლიანი, ლოღიკური და კანონიერია. სხვა ნაირათ არც შეეძლო სახალხო მთავრობას მოქცეულიყო. რატომ? 1) თათბირმა გამოაცხადა თავის თავი დამფუძნებელ კრებათ, რის უფლებაც, რასაკვირველია, მას არ ქონდა. 2) თათბირის ეს ნაბიჯი იყო არა კერძო, შინაური, ორგანიზაციული, არამედ უაღრესათ პოლიტიკური. 3) თათბირი თავის შემადგენლობით იყო უაღრესათ კონტრ-რევოლიუციონური. 4) როცა მათ მოსთხოვეს სადეპუტატო მანდატები, მათ ასეთები ვერ (ან: არ) წარმოადგინეს.

სახალხო დეპუტატების საბჭო არის რევოლიუციის ორგანო, საბჭოების მიერ შექმნილი, რომელიც ვალდებულია გაატაროს ცხოვრებაში მისი წარმომშობის ნება-სურვილი სახალხო დეპუტატების საბჭო დარაჯათ უნდა ედგეს რევოლიუციას, რომელიც თანდათან ღრმავდება, ფართოვდება, ძლიერდება და მწვავდება და, როცა სახალხო დეპუტატების საბჭო დარწმუნდა კადეტურ-ობორონცულ ჯგუფის კონტრ რევოლიუციონურ განძრახვებში, ფიცხლავ ზომები მიიღო მის გასარეკათ.

ამის გამო წუწუნი შეუძლიათ მხოლოთ მათ, ვისაც ელემენტარული (უბრალო) წარმოდგენაც არა აქვთ საბჭოთა მთავრობის ბუნებაზე, ან ვინც მოსისხლე მტერია პროლეტარულ—გლეხურ რევოლიუციის.

გარეკა რა თავხედი კონტრ-რევოლიუციონური ჯგუფი, ლენინის მთავრობამ გამოაცხადა: მხოლოთ 300—400 დეპუტატს, როცა მოიყრიან თავს, შეუძლიათ თავის თავი გამოაცხადოს დამფუძნებელ კრებათო.

ეს დადგენილებაც სრულიათ სამართლიანია და მიზანშეწონილი. ამის წინააღმდეგ შეუძლია ხმა აიმაღლოს, განგაში ასტეხოს მხოლოთ ანტიდემოკრატს, ანტისოციალისტს და კონტრ-რევოლიუციონერს. და მართლაც, როცა ჩვენ აფორიაქებულ და აბჯარასხმულ მენშევიკ ორატორებს შევეკითხეთ: რა გაქვთ თქვენ საწინააღმდეგო ასეთი ნორმისო (400 დეპუტატი 800-დგან), პასუხი სიჩუმით გაგვცეს.

მენშევიკების ჩმახვა, რომ დეპუტატი ხელშეუხებელიაო, სასაცილოა და მეტი არაფერი. ვინაიდან ჩვენთვის დღეს უმაღლესი კანონია—რევოლიუციის გამარჯვება და ხალხის ინტერესები. და ყველაფერი, რაც წინ ეღობება ამ კანონს, შეუბრალებლათ განადგურებულ, გასრესილ უნდა იქნას.

მენშევიკებმა პროტესტების მთელი კორიანტელი ააყენეს იმიტომ, რომ მათ კომისარების ამ ნაბიჯში სიმპტომი (ნიშანი), წინამორბედი დაინახეს: თქვენ ალბათ დამფუძნებელი კრების გარეკასაც გაბედავთო.

„შიშს დიდი თვალები აქვსო,“—რუსები იტყვიან. მენშევიკები წინდაწინ შიშით ცახცახებენ: ვაი თუ ჩვენი იმედი, ჩვენი ოცნება, ჩვენი ნატვრა, ჩვენი სასოება—დამფუძნებელი კრება გაგვირეკონო.

ჯერ ერთი: მთელი რვა თვის განმავლობაში მენშევიკებს ერთი თითიც არ გაუნძრევიათ იმისათვის, რომ ეს მათი ნატვრა განხორციელებულიყო, დამფ. კრება დროზე მოეწვიათ, თუმცა, როგორც ქვეყანამ იცის, იმ ხნის განმავლობაში ისინი ესერებთან ერთათ მმართველ პარტიას (მთავრობას) წარმოადგენდენ კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიასთან ერთად. დამფ. კრების მოწვევას მენშევიკები შორს, ძალიან შორს დებდენ, თუმცა ამავე დროს რევოლიუციის ძირითად კითხვების მიწა, თავისუფლება) გადაწყვეტას დამფუძნებელ კრებაზე ამყარებდენ.

მეორე: მენშევიკებმა იციან, არ შეიძლება არ იცოდენ, რომ ლენინის მთავრობა მხოლოთ რევოლიუციის ემსახურება, და თუ დამფ. კრებაც რევოლიუციონური იქნება, არც ამ მთავრობას, არც ცენტრალურ აღმ. კომიტეტს, არც მ. ს. და გ. საბჭოებს მასთან სადავო არა ექნება რა, და პირიქით: ხელი-ხელ ჩაკიდებულნი, მჭიდროთ შეკავშირებულნი ერთათ ივლიან, ერთი მიზნით გამსჭვალულნი. ამიტომ, როცა მენშევიკები მაინც წინასწარმეტყველობენ, ყორანივით ჩხავიან დამფ. კრების მოსალოდნელ გარეკაზე, ალბათ ფიქრობენ, რომ იგი (დამფ. კრება) კონტრ-რევოლიუციონური იქნება—ეს ხომ გადაჭარბებული პესიმიზმია (უიმედობა, გულგატეხილობა), რაშიაც მენშევიკები ჩვენ გვდებენ ბრალს: თქვენ არ გწამთ, რომ დამფუძნებელი კრება ნამდვილი ხალხური იქნებაო!

მესამე: დამფ. კრების მოწვევა ოცნებიდან, ნატვრიდან ფაქტათ, სინამდვილეთ იქცა მხოლოთ მაშინ, როცა ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ მთავრობა, ძალა-უფლება საბჭოების, ბალშევიკების ხელში გადავიდა. ამიტომ სრულიათ ბუნებრივია, რომ სახალხო კომისარების საბჭო თვითონ იღებს ზომებს მის მოსაწვევათ, გასახსნელათ და დასაცავათ. ლენინის მთავრობა, როგორც დარაჯი რუსეთის რევოლიუციის, დარაჯაა აგრეთვე რევოლიუციონურ დამფ. კრებისაც.

ვინიცობაა (ცის ქვეშ ყველაფერი შესაძლებელია), დამფ. კრება ბურჟუაზიის მოქმედების წყალობით კადეტური, ე. ი. კონტრ-რევოლიუციონური გამოდგა, რომელიც შეებრძოლება რევოლიუციას, საბჭოებს, მათ მთავრობას და დეკრეტების გაბათილებას მოინდომებს, თავის თავათ ცხადია, სახალხო კომისარების საბჭო ასეთ დამფუძნებელ კრებას ალაგმავს, იარაღს აყრის, გარეკს და მთავრობასთან ამ შემთხვევაში ერთად იქნება მთელი რევოლიუციონური რუსეთი და მთელი ქვეყნის სოციალისტური პროლეტარიატ.

ბალშევიკებისთვის ფეტიში (კერპი) არ არსებობს. არც დამფ. კრებაა ჩვენთვის ფეტიში. იმან უნდა ემსახუროს ხალხს და რევოლიუციას, საბჭოების მსგავსათ, საბჭოების გვერდით, საბჭოებთან ერთად. და თუ იგი გადაუდგა, გადასცდა თავის დანიშნულებას, მას მოუხდება შეჯახება საბჭოებთან და ამ შეჯახებაში იგი უეჭველათ დამარცხდება. ასეთია ჩვენი შეხედულება, ჩვენი ტაქტიკა, ჩვენი პერსპექტივები.

ბალშევიკები საქმიანობენ, მოქმედებენ. მენშევიკები—ლაყბობენ, ჭორიკანობენ, ხმაურობენ. და თუ ხანდახან სიტყვიდან საქმეზე გადადიან, მხოლოთ კონტრ რევოლიუციას ემსახურებიან.

იხმაურეთ, ბატონებო, მეტი რაღა დაგრჩენიათ.

თედორე.

## იმპერიალიზმი, როგორც ახალი საფეხური კაპიტალიზმისა

(გადმოღ. ნ. ლენინის წიგნიდან).

### წარმოების კონცენტრაცია და მონოპოლია.

კაპიტალიზმის ხანაში საოცარი სისწრაფით იზრდება მრეწველობა. ამავე დროს წვრილი წარმოება თანდათან ადგილს უთმობს მსხვილ წარმოებას. ეს უკანასკნელი გაცილებით უკეთესი იარაღებით არის მოწყობილი და ბაზარზედაც უფრო კარგი ხარისხის და იაფი საქონლით გამოდის. ამის გამო წვრილი წარმოება ვერ უძლებს მეტოქეობას, იგი ილუპება და მთელი წარმოება მსხვილ მწარმოებელ ფირმებში იყრის თავს, ხდება წარმოების კონცენტრაცია.

ეს მოვლენა დამახასიათებელია კაპიტალიზმისათვის. სამრეწველო აღწერილობის უკანასკნელი ცნობები საუცხოვოთ ასურათებენ მას.

გერმანიაში ყოველ ათას სამრეწველო წარმოებაზე, სადაც დაბანდებულია არა ნაკლებ 50 მუშისა, მსხვილი წარმოება მოდიოდა 1882 წ.—3, 1895 წ.—6 და 1907 წ.—9. ამ წარმოებაში დაბანდებული იყო თითეულ ასი მუშიდან 22, 30 და 37. აქედან აშკარაა, რომ იზრდება მსხვილ წარმოებათა რიცხვი და შესაფერათ იზრდება აქ დაბანდებული მუშების რიცხვიც.

მაგრამ წარმოების კონცენტრაცია უფრო სწრაფათ ხდება, ვიდრე მუშების კონცენტრაცია. მრეწველობას რომ მიმატოთ ვაჭრობა და მიმოსვლის საშუალებანი, დავინახავთ შემდეგ სურათს: 3.265.623 წარმოებიდან მსხვილი საწარმოვო დაწესებულება იყო 30.588, რაც შეადგენს მხოლოთ 0,9 პროც. აქ იყო

დაბანდებული მთელი მუშათა 14,4 მილიონ რიცხვიდან—5,7 მილიონი მუშა, ე. ი. 39,5 პროც. მათი მანქანა-იარაღები შეიცავდენ ცხენის ძალის 75 პროცენტს და ელექტრონის ძალის 80 პროცენტს.

სხვანაირათ რომ ვთქვათ, მთელ წარმოებათა ერთ მეასედზე ნაკლებ ნაწილს მთელი ძალის სამ მეოთხედზე მეტი ორთქლის და ელექტრონის ძალა მოეპოვება. ყველაფერი ჩაუნთქავს მსხვილ წარმოებას, რომლის დაწესებულებები მხოლოთ ათი ათასობით ითვლება, არაფერს არ წარმოადგენს წვრილი წარმოება, რომლის დაწესებულებები მილიონობით ითვლება!

ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელიც თანამედროვე კაპიტალიზმის მოწინავე ქვეყანათ ითვლება, წარმოების კონცენტრაცია უფრო ძლიერია. აქ მთელი წარმოების ნახევარი თავმოყრილია მთელ საწარმოვო დაწესებულებათა ერთი მეასედის ხელში. სამი ათასი უზარმაზარი დაწესებულება მრეწველობის 258 დარგსა სწვდება.

აქედან აშკარაა, რომ კონცენტრაცია, როცა ის აღწევს განვითარების უმაღლეს საფეხურს, ნიადაგს უმზადებს მონოპოლიის აღმოცენებას.

კონცენტრაცია შედეგია სამეტოქეო ბრძოლისა, რომელიც სპობს წვრილ და სუსტ წარმოებებს და მათ ადგილს ამაგრებს მსხვილი წარმოების რამდენიმე რჩეულ დაწესებულებას. მეტოქეობა ამ რჩეულთათვისაც სახიფათოა, მას შეუძლია რამდენიმე მათგანი დასცეს ბრძოლაში და მათ შორის უფრო მცირე რიცხვს არგუნოს ცხოვრების ასპარეზზე ფართოში. მაგრამ შიში მეტოქეობისა, რომლის შედეგი წინდაწინ არავინ იცის, აიძულებს უზარმაზარ წარმოებათა მცირე რიცხვს შეუკავშირდენ ერთმანეთს, და შეთანხმებულათ იმოქმედონ. მეტოქეობის ადგილს იჭერს შეთანხმებული მოქმედება, განცალკევებულ საწარმოვო დაწესებულებათა ადგილს—მათი კავშირი; კონცენტრაცია გზას უწალდავს მონოპოლიას.

მეტოქეობის ნაცვლათ მონოპოლიის აღმოცენება დიდ მნიშვნელოვანი მოვლენაა მთელ თანამედროვე კაპიტალიზმის ხანაში.

ამ ნახევარი საუკუნის წინათ, როდესაც მარქსი თავის „კაპიტალს" სწერდა, ეკონომისტების უმრავლესობას „ბუნების კანონათ" მიაჩნდათ თავისუფალი მეტოქეობა. მარქსმა კაპიტალიზმის თეორეტიული და ისტორიული ანალიზით დაამტკიცა, რომ თავისუფალი მეტოქეობა იწვევს წარმოების კონცენტრაციას, ეს კონცენტრაცია კი თავისი განვითარების შესაფერ საფეხურზე იწვევს მონოპოლიას. ეხლა მონოპოლია ყველასათვის თვალსაჩინო ფაქტია.

ფაქტები კი იმას ამტკიცებენ, რომ მონოპოლიას იწვევს წარმოების კონცენტრაცია და ეს საერთო, ძირითადი კანონია კაპიტალიზმის განვითარების თანამედროვე საფეხურისა. მართალია სხვადასხვა კაპიტალისტური ქვეყნები განირჩევიან ერთმანეთიდან თავისუფალი ვაჭრობის და მფარველობითი სისტემის მხრით და ეს სხვა და სხვანაირ ფორმას აძლევს მონოპოლიას და მის წარმოშობას, მაგრამ ეს განსხვავება არსებითი არ არის და საერთო კანონი მონოპოლიის წარმოშობისა უცვლელათ რჩება.

მონოპოლია ახალი კაპიტალიზმის დამახასიათებელია. როდის დაიწყო ამ ახალი კაპიტალიზმის ხანა? ევროპისთვის ახალი კაპიტალიზმის აღმოცენება იწყება მეოცე საუკუნის დასაწყისიდან. ეს ნათლათ სჩანს მონოპოლიის ისტორიიდან.

1860 70 წლებში თავისუფალმა მეტოქეობამ უმაღლეს საფეხურს მიაღწია. ამ ხანათ მხოლოთ შთანასახი მოიპოვებოდა მონოპოლიისა. 1873 წლის კრიზისის შემდეგ ფართოთ ვითარდება კარტელები (კაპიტალისტების კავშირები), მაგრამ ისინი მაინც წარმავალ მოვლენას წარმოადგენენ. 1909-1903 წ. კრიზისის შემდეგ კარტელები ხდებიან მთელი სამეურნეო ცხოვრების საფუძვლათ. ამ ხანათ კაპიტალიზმი იმპერიალიზმათ გადაიქცა.

კარტელები ხელშეკრულებებს სდებენ საქონლის გაყიდვის პირობებზე, ფულის გადახდის ვადაზე და სხ. ისინი თავიანთ შორის იყოფენ საქონლის გასაღების ბაზარს. ისინი წინდაწინ საზღვრავენ, რამდენი უნდა დამზადდეს საქონელი. ისინი აწესებენ ფასებს. ისინი ანაწილებენ მოგებას სხვა და სხვა საწარმოვო დაწესებულებათა შორის.

- კარტელების და ტრუსტების ხელში ხშირათ თავმოყრილია 7-8 მეათედი ამა თუ იმ დარგის მთელი წარმოებისა. რეინ-ვესტფალის ქვანახშირის სინდიკატი თავის დაფუძნების დროს 1893 წ. თავს უყრიდა ნახშირის მთელი წარმოების 86,7 პროც., 1910 წელს კი უკვე ამ რაიონის 95,4 პროც.

მეტოქეობა მონოპოლიაში გადადის. სწარმოებს უდიდესი პროცესი წარმოების განსაზოგადოებრივობისა. თვით ტეხნიკურ გამოგონებათა და გაუმჯობესებათა პროცესი საზოგადოებრივ ხასიათს ღებულობს.

ეს უკვე სრულიათ არა გავს ძველ თავისუფალ მეტოქეობას, სადაც განცალკევებული, ერთმანეთის არ-მცოდნე მეურნენი აწარმოებდენ საგნებს მათთვის უცნობ ბაზარზე გასასაღებლათ. კონცენტრაციამ იმ ზომას მიაღწია, რომ დაახლოვებით შეიძლება გამოანგარიშებულ იქნას, რამდენია ამა თუ იმ ქვეყანაში ესა თუ ის ნედლი მასალა. მაგრამ საქმე მარტო ანგარიშით არ თავდება. ნედლი მასალის ყველა წყაროები თავს იყრის უზარმაზარ მონოპოლისტურ კავშირების ხელში. დაახლოვებით ანგარიშობენ ბაზრის სიდიდესიპატარავეს, იყოფენ მას თავიანთ შორის და ასე ეს კავშირები ეპატრონებიან, როგორც წარმოებას, ისე ნაწარმოების გასაღებას. გაწრთვნილ მუშაძალებსაც ისინი იკრებენ თავის გარშემო, ისინი ქირაობენ საუკეთესო ინჟინრებს, ხელში იგდებენ რკინის გზებს და საზღვაო მიმოსვლის საშუალებებს.

კაპიტალიზმი მის იმპერიალისტურ საფეხურზე მტკიცეთ უახლოვდება წარმოების განსაზოგადოებრივობას, ის ითრევს კაპიტალისტებს მათი ნების და შეგნების წინააღმდეგ რაღაც ახალ საზოგადო წყობილებაში, რომელიც გარდამავალია მეტოქეობის სრული თავისუფლებიდან სრულ განსაზოგადოებრივობამდე. აშკარათ სჩანს, რომ წარმოება საზოგადოებრივი ხდება, მაგრამ ნაწარმოების მისაკუთრება კი ისევ კერძო პირთა ხელშია. წარმოების საზოგადოებრივი საშუალებანი კერძო პირთა უმნიშვნელო რიცხვის კერძო საკუთრებას წარმოადგენს. ყველას მიერ ცნობილი თავისუფალი მეტოქეობის ჩარჩოები ძალაში რჩება და რამდენიმე მონოპოლისტის ბატონობა მცხოვრებთა დიდ უმრავლესობაზე უფრო მძიმე, საგრძნობი და აუტანელი ხდება.

მონოპოლია—ეს უკანასკნელი სიტყვა კაპიტალიზმის განვითარების უახლესი საფეხურისა. მაგრამ რომ უკეთ წარმოვიდგინოთ ნამდვილი ძალა და მნიშვნელობა თანამედროვე მონოპოლიებისა, საჭიროა გამოვიკვლიოთ, რა როლს თამაშობენ მათ აღორძინება-განვითარებაში ბანკები.

## მუშათა და გლეხთა მთავრობა.

### სახალხო კომისარების საბჭო უკრაინის შესახებ.

3 დეკემბერ საღამოთი ამხანაგ სერგეი ბაკინსკის ხანგრძლივი ბაასი ჰქონდა ეროვნულ საქმეთა სახალხო კომისართან, რ. ს. დ. მ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტის წევრთან, ამხ. ჯუღაშვილთან უკრაინის რესპუბლიკის შესახებ.

ცენტრალი რადის და უკრაინის თვითმართველობის, როგორც ფედერატიული რესპუბლიკის, შესახებ ამხ. ჯუღაშვილმა უპასუხა „ბოლშევიკების შეხედულება ეროვნულ კითხვაზე უკვე აღნიშნული იყო აპრილის კონფერენციის რეზოლიუციაში.

თუ თქვენ საჭიროთ სცნობთ შეიტყოთ რუსეთის რესპუბლიკის მთავრობის შეხედულება ეროვნულ კითხვის შესახებ, შემიძლიან მოგახსენოთ, რომ მე ნება დართული მაქვს გელაპარაკოთ სახალხო კომისარების სახელით.

— გთხოვთ.

— გიპასუხებთ. ხალხური ცენტრალი მთავთობის და მეორე სრულიათ რუსეთის ყრილობის საბჭოს შეხედულება ეროვნულ კითხვაზე, რომელიც დადასტურებულია გლეხთა ყრილობისაგან, შემდეგია: ცნობილია ერებისთვის სრული უფლება თვით გამორკვევისა, თუნდაც ეს დაარსება. ჩამოშორება და საკუთარი სახელმწიფოს იწვევდეს.

ერის ნება სურვილი გამოიხატება პირდაპირის რეფერენდუმით ანუ ეროვნული საყოველთაო დადგენილებით. თუ ერმა გამოსთქვა აზრი ფედერატიული რესპუბლიკის სასარგებლოთ, სახალხო კომისარების საბჭოს ამის წინააღმდეგ არაფერი შეუძლია და მას იგი ანგარიშს გაუწევს.

უკრაინის ძალა-უფლებაზე.

„ძალა-უფლება—განაგრძობს ჯუღაშვილი ოლქში უნდა ეკუთნოდეს შეერთებულ მუშათა, სალდათთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს".

„რადისა და სახალხო კომისარების საბჭოს თათბირი.

„ჩამოთვლილი კითხვები იძლევიან ფართო ნიადაგს შესათანხმებლათ ცენტრალ რადას და სახალხო კომისარების საბჭოს შორის. მაგრამ სასურველია მოხდეს თათბირი ცენტრალ რადის და სახლხო კომისარების საბჭოს წარმომადგენლებ შორის".

სრული ავტონომია.

„უკრაინის ავტონომია უნდა იყოს სრული, იგი არაფრით შეზღუდული არ იქნება ზევიდან კომისარის უფლებით არავითარი „აპეკა", არავითარი ზედამხედველობა უკრაინის ხალხისადმი".

უკრაინის სამხედრო ნაწილების გამოყოფა.

„დღეს თუ ხვალ რამდენიმე ათასი უკრაინელი ჯარის კაცი მთავარ სარდლის თანხმობით, გამოვა უკრაინაში წასასვლელათ. მშვიდობიანობის დროს, რა თქმა უნდა, უკრაინელი ჯარის კაცები ისადგურებენ უკრაინაში. მაგრამ ომი ართულებს საქმეს და ამიტომ ამა თუ იმ ნაწილების უფროსების ნებადაურთველათ თავისუფალი მოძრაობა ეროვნული ჯარებისა მინიმუმამდის მივა. მე მოგახსენებთ, როგორც გამონაკლისზე, ვინაიდგან კანონი უგამონაკლოთ არ არსებობს."

უკრაინის საბჭოების ყრილობა.

„ჩვენ ყველანი ვფიქრობთ, რომ აუცილებლათ საჭიროა მოხდეს უკრაინის მუშათა, სალდათთა და გლეხთა დეპუტატების ყრილობა. ჩვენთვის გაუგებარია ის უნდობლობა, რომელსაც იჩენენ უკრაინელების ყრილობის იდეის მიმართ. ჩვენ ყველანი ვფიქრობთ, რომ თქვენ: კიეველები, ოდესელები, ხარკოველები, ეკატერინოსლაველები და სხ. უნდა დაუყონებლივ შეუდგეთ ყრილობის მოწვევას, რა თქმა უნდა, რადასთან ერთათ. თუ მან უარი განაცხადა თქვენთან თანამშრომლობაზე—რაც ჩვენ დაუჯერებლათ მიგვაჩნია— მაშინ მოიწვიეთ ყრილობა „რადის" დაუსწრებლათ."

„ძალა-უფლება ადგილობრივ საბჭოებს"— აი რევოლიუციონური მცნება, რომელსაც ჩვენ არაფრისთვის გზას არ გადაუხვევთ და ჩვენ ვერ გაგვიგია, თუ რისთვის დაობს „რადა" ამ აქსიომის წინააღმდეგ."

საბჭოების უფლებაზე.

„კიდევ გაგიმეორებთ ჩვენს საზოგადო შეხედულებას: დაუყონებლივ მოიწვიეთ უკრაინაში მუშების, სალდათების და გლეხთა დეპუტატების ყრილობა. საბჭოების უფლების კითხვის შესახებ, როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ. არავითარ დათმობაზედ არ შეიძლება ლაპარაკი. ოლქში სხვაფრივ ძალა-უფლების და მის ფორმის შექმნა მე ვერ წარმომიდგენია. მე არ მესმის უნდობლობა, რომელსაც რადა იჩენს საბჭოების ძალა-უფლების წინააღმდეგ."

რადის იმპერიალიზმი.

**ამხ. ბაკინსკი.**—„ეს უნდობლობა აიხსნება იმითი, რომ რადა თავის კონსტრუქციით და შემადგენლობით დემოკრატიულ დაწესებულებას არ წარმოადგენს."

**ამხ. ჯუღაშვილი.** — სწორეთ ეგრე უნდა იყოს; ეს კიდევ იქიდგანა სჩანს, რომ რადა თავის სურვილით სულ ახალ-ახალ გუბერნიებს იერთებს იქაურ მოსახლეთა დაუკითხავათ; უნდათ თუ არა იმათაც უკრაინაში შევიდენ.

აქ ჩვენ ყველანი ვფიქრობთ, რომ ამისთანა შემთხვევაში შეიძლება და კიდევაც უნდა გადაწყდეს ხალხის, მოსახლეებისდაკითხვით, რეფერენდუმის შემწეობით. რამდენათაც რადა ამას არ სჩადის და ის ზევიდგან, თავისნებით, სულ ახალ ახალ გუბერნიებს იერთებს, ანექსიის შემწეობით, ის ამით თავის თავს თითონ ბრალსა სდებს, როგორც არა დემოკრატიულ ორგანიზაციას.

უკრაინის საბჭოების ყრილობამ სხვათა შორის, უნდა გამოსთქვას თავისი აზრი, თუ რა წესით უნდა მოხდეს მოსახლეების შეკითხვა იმის შესახებ, თუ რომელ ოლქში მოისურვებენ ისინი დარჩენას."

## რუსეთის ქრონიკა.

### უკრაინელების „რადა" და სახალხო კომისარების საბჭო.

სახალხო კომისარების საბჭომ ამ დღეებში უკრაინის რადას ულტიმატუმი წაუყენა, რომ 48 საათის განმავლობაში გადაწყვიტოს: ან სულ თავი

განიზოს ყოველგვარ ცდას, კადეტ-კალედინის კონტრ-რევოლიუციას მხარი დაუჭიროს, ანდა აშკარათ გამოვიდეს და აღიაროს რომ იგი საბჭოების მთავრობას ომს უცხადებს.

**ისევ „რადა“ და ზავზე მოლაპარაკება.**

უკრაინის რადამ, როგორც კომისარი სკლიანსკი იტყობინება, დვინსკში სამი კაცისაგან შემდგარი დელეგაცია გაგზავნა, რომელიც დროებით მორიგებაზე მოლაპარაკებაში მონაწილეობას მიიღებს. საერთო საარმიო კომიტეტმა ზომები მიიღო, რომ ეს დელეგაცია დროზე გადაყვანილ იქნას ქ. ბრესტში, სადაც იგი სხვებთან ერთად ზავზე მოლაპარაკების საქმეში მონაწილეობას მიიღებს.

**ბელგოროდთან ბრძოლა დასრულდა.**

ხარკოვიდან რკინის გზის მოსამსახურეთა ცენტრალურ კომიტეტს ატყობინებენ, რომ ბელგოროდთან ბრძოლა წითელგვარდიელების გამარჯვებით დასრულდა. „დამფუძნებელთა“ ბათალიონის ბევრი რაზმი თვითონვე იყრის იარაღს და წითელგვარდიელებს და მატროსებს ნებდება. გარშემო მდებარე სოფლების ცხოვრება ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა და ბელგოროდამდის რკინის გზაზე მოძრაობა უკვე აღდგენილია.

**ნიკოლოზ მეორის ბედი.**

როგორც პეტროგრადის გაზეთები გადმოგვცემენ, ბრესტ ლიტოვსკში გერმანიის დელეგატები ვილჰელმის სახელით რუსეთის დელეგაციას შეეკითხენ, თუ რა ბედი ეწევა რუსეთის ყოფილ იმპერატორს და მის ოჯახს შემდეგში. ეს შეკითხვა სახალხო კომისარების საბჭოს აცნობეს თურმე და როგორც ზემო ხსენებული გაზეთები იტყობინებიან, კომისართა საბჭომ განაცხადა, რომ მას საწინააღმდეგო არაფერი ექნება როგორც ყოფილი იმპერატორის ისე მისი ოჯახის საზღვარ გარეთ გასვლისა, თუ რა საკვირველია, ამის წინააღმდეგ დამფუძნებელი კრება არ წავა.

# საზღვარ-გარეთ

**საფრანგეთში.**

მთავარ მინისტრი კლემანსო სასტიკათ დევნის და ატუსაღებს ყველა იმ სოციალისტებს, რომლებიც ზავის სასარგებლოთ პროპაგანდა-აგიტაციას ეწევიან. იგი მათ წინააღმდეგ იუსტიციასაც იყენებს. მოსალოდნელია მემარცხენე სოციალისტების მის წინააღმდეგ გალაშქრება. ამ ხანათ საფრანგეთში თვითნებობა და უხეში ძალა ბატონობს. ამასთან იმასაც ცდილობენ, რომ ზავის მომხრე პროპაგანდისტი აგიტატორები ხალხს სამშობლოს გამყიდველებათ და მოღალატეებათ დაანახვონ.

საფრანგეთის პრესა ამ ჟამათ დიდ ადგილს უთმობს რუსეთში მომხდარ ამბებს; დაწვრილებით სწერენ მავალ. პეტროგრადის ამბებზე, ადვილი გასაგებია, თუ რა კომენტარიებს გაუკეთებს პარიზის ბურჟუაზიული პრესა ამ ამბებს. არც მალავენ თავის აღშფოთებას და გაავთრებას რუსეთის ახალი მთავრობის წინააღმდეგ. სიცრუეს და ცილისწამებას ხომ პირველი ადგილი უჭირავს მათ ნაწერ-ნალაპარაკევში.

დეპეშები ბალშევიკების ტერორის შესახებ საშინელ შთაბეჭდილებას ახდენს აქაურ საზოგადოებაზე.

20 დეკემბერს უნდა გაიმართოს აქ კამათი პარლამენტში რუსეთთან დამოკიდებულების შესახებ. კამათში მონაწილეობას მიიღებენ სოციალისტები ლონგე, მისტრალი, პრესმან-მუტე-ბერმახიაში.

როგორც „ფორვერცი“ გადმოგვცემს ოვენბახში და მაინცში 13 ნოემბერს დიდი სახალხო მიტინგები გაიმართა, სადაც სხვათა შორის შეიდემანმა ილაპარაკა. მიტინგი რუსეთთან დამოკიდებულებას და ზავზე საკითხს ეხებოდა. გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომლითაც რუსეთის რევოლიუციას დიდ სოლიდარობას უცხადებენ, სალამს უძღვნიან მას და ენერგიულ დახმარებას პირდებიან.

## მუშის შენიშვნები.

რუსეთის რევოლიუციონურ პროლეტარიატის სოციალ-დემ. პარ. ბოლშევიკების მეთაურობით რევოლიუციის გასაღრმავებლათ გამოსვლამ, მთელი ბურჟუაზიული ბანაკი ააყაყანა, მათი პრესა ვინ იცის რას არ ბოდავს ბოლშევიკების წინააღმდეგ; ოღონდ ბოლშევიკებ დაამარცხონ, ხალხის თვალში სახელი გაუტეხონ და ამისათვის ყოველ ნაირ საშუალებას ხმარობენ. ჩვენ კარგათ ვიცით მათი გულის ტკივილი, მათი ახმაურება ჩვენს წინააღმდეგ მხოლოდ გულ-უბრიყვებს თუ შეიყვანს შეცდომაში.

მაგრამ არა ნაკლებ გულის წყრომით გვიმასპინძლდებიან ამხ. მენშევიკებიც. მათი ეხლანდელი ჩვენს წინააღმდეგ გამოლაშქრება სრულებით წააგავს აკობიაგუნია-ხეობელის დროინდელ სოც.-დემ. წინააღმდეგ მოქმედებას. მაშინ სხვა და სხვა ნაციონალისტური პარტიები სოც.-დემოკრატიულ პარტიის რაზმელებს, პარტიის ბელადებს და მებრძოლებს ავაზაკებათ და ქვეყნის დამღუპველებათ თვლიდენ. დღეს მენშევიკები გამომდგარან და ნაცვლად იმისა, რომ პროლეტარიატს გვერდში ამოუდგენ და რევოლიუცია სრულ გამარჯვებამდი მიეყვანოთ, ბალშევიკების წინააღმდეგ ათასნაირ მიუტოვებელ ბრალდებებს აყენებენ; ბალშევიკებმა დაღუპეს ქვეყანა, ბალშევიკები ანარქისტებია, მათი ბელადები გერმანიის აგენტებია და სხვა ასეთი მარგალიტები,

მენშევიკები გვაკიჟინებენ; ობიექტიურ და სუბიექტიურ პირობებს ანგარიშს არ უწევთ, მუშათა კლასის ძალა უფლების ხელში აღება ნაადრევიაო.

ერთი გვიბრძანეთ ამხანაგებო, რამდენ ხანს უცადოთ ერთ მუჭა კაპიტალისტებს და სპეკულიანტებს, რომ იგინი ხელს აიღებენ მშრომელი ხალხის აშკარა ძარცვა გლეჯაზე—ასი თუ ორასი წელი? მანამ კი თქვენი რჩევით წაუშვიროთ კისერი მუქთა ხორებს და უთხრათ: აჰ ბატონო სპეკულიანტებო, ჯერ მთლათ არ გამოგიხრავთ მშრომელი ხალხის სირბილე, გაძეხით მისი სისხლით და ოფლით, მერე თქვენ თვითონ მიიცვლებით, როცა ამის პირობები დადგებათქო; არა ამხანაგებო, მშრომელი ხალხი აღარ წახრის აწი კისერს სპეკულიანტების და მემამულეების საჯიჯგნელად. მენშევიკები ვერ შერიგებიან იმ აზრს, რომ ბალშევიკებმა გაბედეს და ბურჟუაზიული გაზეთები დახურეს. ე. ი. როდესაც მტერს ებრძვი, ჯერ უნდა შეუთვალო, მოვდივარ შენ გასანადგურებლათ და მზათ დამხვდი შეიარაღებული თოფ-ზარბაზნებითქო, ასეთია თქვენი ლოღიკური დასკვნა? ჩვენ კი ვფიქრობთ, მტერს რომელ ფრონტიდგან ც მოუდგები დასამარცხებლათ, იქიდგან უნდა დაესხა თავს.

ჩვენ იმასაც ვერ ვიტყვით, რომ თქვენც არ გადაგეხადოთ ბრძოლა ხალხის საკეთილდღეოთ, მაგრამ ბოლომდი კი არ მიყვებით, ხალხს რევოლიუციის სრულ გამარჯვებამდი.

ეს კი იცოდეთ ხალხი გამარჯვებული გამოიტანს თავის მადლიანი მარჯვენით გასისხლიანებულ წითელ დროშას ამ ბრძოლაში. თქვენ კი, ამხ. მენშევიკებო, ისტორია არ გაპატიებთ იმ შეცდომას, რომელსაც თქვენ ჩადიხართ.

მეისრე ვალიკო.

# მუშათა შორის.

1 დეკემბერს რკინის გზის მთავარ სახელოსნოში, დაახლოვებით საათის 11 იქნებოდა, როცა შევიტყეთ, რომ სასახლეში მთელი გარნიზონის წარმომადგენლები იკრიფებიან ქალაქში მომხდარ ამბების გამოსარკვევათ (29—30). ამ ხმას ამართლებდა ისიც, რომ სახელოსნოში მომუშავე სალდათებმაც დასტოვეს სამუშაო და გაეშურნენ თავიანთ ნაწილებში მოსალაპარაკებლათ. რომ ჩვენი, მუშების ხმაც შეგვეერთებინა მათი ხმისათვის და თავიდან აგვეცილებინა შუღლი და სიძულვილი, რაც მოსალოდნელი იყო ყოველ წუთს, სწრაფათ შევიკრიფეთ მუშები, რომ ჩვენი აზრი გამოგვეთქვა მომხდარ ამბებსა და შექმნილ მდგომარეობაზე. ამხ. ლ—მა. აუწყა კრებას მიზეზი შეკრებისა, მოუწოდა აერჩიათ თავმჯდომარე და გამოეთქვათ თავიანთი აზრი შექმნილ მდგომარეობაზე. ამ დროს გაჩნდნენ ადგილობრივ კომიტეტის წევრები თავმჯდომარითურთ და მოიწადინეს კრების დაშლა. ათასი ხრიკებით, რომ ვერას გახდნენ, დაუწყეს ძებნა ინიციატორს კრებისას, ალბათ დასასჯელათ. კრებამ თავმჯდომარეთ აირჩია მუშა ამხ. საბაშვილი, (არც ერთი ინტელიგენტი არ დასწრებია კრებას) და იქონია მსჯელობა მომენტზე. რომ წარმოება არ შეგვეჩერებინა, კრება არ გაგრძელებულა დიდხანს. მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც შეიცავდა შემდეგს:

დაუყონებლივ დაინიშნოს გამოძიება არსენალზე თავდასხმის და დარბევის გამო, დაბრუნებულ იქნას გატაცებული იარაღი, აუნაზღაურდეს ზარალი არსენალს, „კავ. რაბოჩის“, „ბრძოლის“ და „ბანვორი კრივის“ რედაქციებს და სტამბებს. ამასთანავე ჩამოერთვას იარაღი ამ ავანტიურაში მონაწილე „წითელ გვარ.“ და პასუხის გებაში იქნენ მიცემულნი. აი ამ რეზოლიუციით იქნენ გაგზავნილნი სასახლეში მუშების დელეგატები, რომელთა შორისაც იყვნენ უკიდურესი მენშევიკებიც. რადგან იმ კრებას არავითარი ფრაქციული ხასიათი არ ქონდა, ყველას ერთნაირათ აღელვებდა შექმნილი მდგომარეობა განურჩევლად რწმენისა და ფრაქციული მიმართულებისა. „დვორეცში“ მუშათა დელეგატებს ცივათ, უკმეხათ შეხვედროდნენ. შეურაცხყოფაც კი მიეყენებინათ და რეზოლიუციისათვის ეწოდებინათ ცალმხრივი და ხულიგანური.

როგორც მოსალოდნელი იყო მენშევიკები გაებრაზებინა მუშ. მიერ ინტელიგენტების დაუსწრებლათ მიღებულ რეზოლიუცია. [illegible] ეღონათ ყოველ ნაირს, რომ [illegible]ეწყვიათ მეორე მიტინგი. და მოიწვიეს კიდეც მეორე დღეს. ეტყობოდათ ამ ქვეყნის მესვეურთ რომ შერყეოდათ სავარძლები და შეეცადენ მათ გამაგრებას, რასაც მიღწიეს კიდეც დროებით.

მიტინგზე საჯაროთ აღიარეს რომ, ყველაფერი ის რაც მოხდა, მოხდა აღმასრულებელ კომიტეტის სურვილით და კრებას გამოტანეს სრული ნდობის რეზოლიუცია კომიტეტისადმი, თუმცა კი რიცხვით ნახევარზე ნაკლები დაესწრო ვიდრე წინა დღის მიტინგს.

# პროვინცია.

**ს. ხიდისთავი (გურია.)**

ხიდისთავი მართალია გურიის ერთ კულტურულ მხარეს წარმოადგენს, მაგ. აქ არსებობს: უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებელი, ორ-კლასიანი სასწავლებლები, ფოსტა, წიგნთ-საცავ-სამკითხველო, სოც. დემოკრატიული და ეროვ. დემოკრატიული კლუბები, ბანკი და სხვა, მაგრამ საუბედუროთ ერთ რაიმე უმთავრესს მოკლებულია ხიდის თავის გლეხ-კაცობა. ეს არის პროპაგანდა, აგიტაცია, ლექცია, მიტინგი და სხვა. მერმეთ ვინ არიან ამაში დამნაშავენი? ადგილობრივი მოწინავე ამხანაგები მენშევიკები. სამი თვე გადის მას შემდეგ, რაც მათ მიტინგი არ მოუწვევიათ, რის გამოც ხალხში უკმაყოფილებაა. წარმოიდგინეთ მკითხველნო, რომ დამფუძნებელი კრების არჩევნების წინაც არ მოუწვევიათ მიტინგი, ადგილობრივმა მენშევიკებმა კარგათ იცოდენ, რომ მიტინგზე სხვა პარტიის წარმომადგენლებიც გამოვიდოდენ და ხალხს მიიმხრობდენ. ამის თავიდან ასაცილებლათ იმათ სოფლად მოახდინეს იაჩეიკების კრება, რადგანაც დარწმუნებული იყვნენ იმაში, რომ იქ ჩვენ ვერავის გავგზავნიდით. დანარჩენი გლეხობა კი გაურკვეველი იყო, თუ ვისთვის მიეცა ხმა. ბიულეტენებს ზოგნი ორს აწყობდენ კონვერტში და სხ. წინათ აქ გვესტუმრა ამხ. თედორე კალანდაძე, რომელსაც სურდა მოეწვია მიტინგი და გაერკვია ხალხი მიმდინარე მომენტში. ამისთვის, რადგან ჩვენ გამოყოფილი ვიყავით, წინადადება მივეცით მენშევ. კოლექტივს, რომ მოეწვიათ მიტინგი. მაგრამ კოლექტივის კრება არ მომხდარა, მიზეზათ დაასახელეს ტეხნიკური მხარე, რომელიც სრულებით ხელს არ უშლიდა მიტინგის მოწვევას. სასურველია, ადგილობრივი მენშევიკები ხშირათ მოიწვევდენ კრებებს და მიტინგებს, სადაც გამოვლენ და ილაპარაკებენ ყველა პარტიის წარმომადგენლები, რითაც ხალხი გაირკვევა და მონახავს იმ პარტიას რომელიც მისი ინტერესების გამომხატველია. ხიდისთავის დამფუძნებელი კრების არჩევნების შედეგი ასეთია: სოციალ-დემოკრატებმა (მენშევიკებმა) მიიღეს 1763-ხმა, სოც.-დემოკრ. (ბოლშევიკებმა) 88-ხმა, ეროვნულ-დემოკრატებმა 78, სოც.-რევოლიუციონერება 28, სოც.-ფედერალისტებმა 2.

ელ. შარაჩოლელი.

## კრებები და მიტინგები.

2 რაიონის კომიტეტმა (ბოლშევიკების) გახსნა სამკითხველო პარტიის წევრების და თანამგრძნობთათვის კომიტეტის ბიუროში (ელისაბედ. ქ. № 10). შესვლა უფასოა, ღიაა სალ. 6—8 საათ.